

DOI: <https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.20>

**ნიკო მარი და ტაო-კლარჯეთი
(რამდენიმე შტრიხი ტაო-კლარჯეთისა და
მისი ეკლესია-მონასტრების შესახებ)**

**NIKO MARR AND TAO-KLARJETI:
INSIGHTS INTO THE REGION AND
ITS CHURCHES AND MONASTERIES**

მანანა ქაჯაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Manana Kajaia

Georgian Technical University
Tbilisi, Georgia

აბსტრაქტი

ნაშრომში საუბარია ქართულ-თურქულ ურთიერთობათა მრავალ-საუკუნოვან ისტორიაზე, ტაო-კლარჯეთისა და სამხრეთ საქართველოს მატერიალურ-კულტურულ მემკვიდრეობაზე; წარმოჩენილია ნიკო მარის განსაკუთრებული დამსახურება ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების შესწავლის კუთხით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოგზაურობა 1904 წლის ზაფხულში შავშეთსა და კლარჯეთში. მკვლევრის სურვილი გახლდათ, საფუძვლიანად შეესწავლა გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების სამოღვაწეო ასპარეზი, აღეწერა იქაური ეკლესია-მონასტრების, ქართული სავანეების ადგილმდებარეობა და, რაც მთავარია, მიეკვლია ხანძთისა და შატერდის მონასტრებისათვის.

აღსანიშნავია ნიკო მარის მოსაზრება, რომ უსახელო სავანე ფორტას მიდამოებში, კერძოდ, სამხრეთ ზონაში, ქვემო ფორტასთან, ფორტის ბაღებთან უნდა ყოფილიყო, ხოლო ხანძთის, რომელიც შედარებით ძველი იყო, მდებარეობა ივარაუდებოდა სოფელ ფორტას ჩრდილოეთ ზონაში და იმჟამად მას „ნუკას საყდარი“ ერქვა. მკვლევართა უმეტესი ნაწილი არ ეთანხმებოდა ნიკო მარის ამ მოსაზრებას. ნიკო მარის წარმოდგენილი შეხედულებანი საყოველთაოდ იყო აღიარებული, და უფრო მეტიც: მათ ფართო პერსპექტივა გაშალეს შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2014 წლის ექსპედიციის მონაწილეები ამტკიცებენ, რომ ფორტას ბაღებთან კი არ ააგეს გრიგოლმა და გაბრიელმა ხანძთის მონასტერი, არამედ ზემო ფორტას სიახლოვეს, 4 კილომეტრის დაშორებით ქვემო ფორტიდან.

ნაშრომში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დათმობილი ნიკო მარის დღიურებს, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს ღირებულება. უნდა აღვნიშნოთ, რომ გრიგოლ ხანძთელის ტექსტი ნიკო მარმა მოიპოვა 1902 წლის შემოდგომაზე იერუსალიმში და გამოსცა, ჩინებულად თარგმნა რუსულად და მას დაურთო «Дневник поездки в Шавшию и Кларджию».

თავის გამოკვლევაში ნიკო მარი ხაზს უსვამს იმას, რომ მერჩულეს თხზულება თავისი რეალისტურობით იშვიათია ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში. გიორგი მერჩულე ეროვნული მწერალია, სწორედ ნიკო მარმა წარმოაჩინა და გაგვაცნო სასიქადულო მწერალი მოაზროვნე.

შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები შესანიშნავი ლიტერატურული დოკუმენტია პატრიოტული სულისკვეთებით. მკვლევარს დიდი სიყვარულით აქვს აღწერილი ოდესღაც აყვავებული და აწ გაჩანაგებული ძველი კულტურის სამაგალითო კერები.

ნიკო მარი სრულიად განსხვავებული მოვლენა იყო მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში. ის იყო შესანიშნავი ფილოლოგი, ლინგვისტი, დიალექტოლოგი, წყაროთმცოდნე, ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი, არქეოლოგი, ფილოსოფიის პრობლემათა მკვლევარი.

ნიკო მარის ღვაწლი ორიენტალისტიკაში, კერძოდ კი, ქართული აღმოსავლური კულტურის ისტორიული ურთერთობის კვლევის ისტორიაში განუზომელია, კვალი - წარუშლელი და ობიექტურად რომ ვთქვათ, დიდად დაფასებული.

საკვანძო სიტყვები: ტაო-კლარჯეთი, ქართული ეკლესია-მონასტრები, ნიკო მარი.

ABSTRACT

The paper examines the long history of Georgian-Turkish relations, as well as the material and cultural heritage of Tao-Klarjeti and southern Georgia. It emphasizes Niko Marr's significant contributions to the study of the most important monuments associated with the 10th-century hagiographic works. His journey to Shavsheti and Klarjeti in the summer of 1904 is of particular importance. The researcher aimed to thoroughly examine the activities of Grigol Khandzteli and his disciples, describe the locations of the local churches and monasteries, as well as other Georgian monastic sites and, most importantly, to trace the Khandzta and Shatberdi monasteries.

Niko Marr's opinion is noteworthy, as he suggested that the unnamed monastery was likely situated around Porta, specifically in the southern area, close to Lower Porta and the Porta Gardens. On the other hand, Khandzta, which was relatively older, was presumed to be in the northern part of the village of Porta and was known then as the "Nuka Cathedral". Most researchers did not agree with Niko Marr's opinion. Nonetheless, the ideas presented by Marr were widely recognized, and they opened new avenues for further research and exploration.

The participants of the 2014 expedition from Georgian Technical University claim that Grigol and Gabriel did not build the Khandzta Monastery near the Porta Gardens; rather, it was built near Upper Porta, approximately 4 kilometers away from Lower Porta.

The study pays particular attention to the diaries of Niko Marr, which continue to hold value to this day. It is worth noting that Niko Marr acquired the text of Grigol Khandzteli in the fall of 1902 in Jerusalem, published it, and translated it into Russian with great skill. He also included the Diary of the Journey to Shavsheti and Klarjeti («Дневник поездки в Шавшию и Кларджию») in the publication.

In his research, Niko Marr emphasizes that Merchule's writings are rare in hagiographic literature for their realism. As a national writer, Giorgi Merchule was introduced to us by Niko Marr, who presented this remarkable author and thinker.

The Diaries of the Shavshet-Klarjeti Trip is an excellent literary document filled with a patriotic spirit. With great affection, the researcher described the exemplary centers of ancient culture that once thrived and are now in ruins.

Niko Marr was a unique phenomenon in the history of world science. He was an excellent philologist, linguist, dialectologist, expert in source studies, literary critic, folklorist, archaeologist, and researcher of philosophical issues.

Niko Marr's contributions to Oriental Studies, particularly in the historical examination of the relationship between Georgian and Eastern cultures, is profound; his impact is permanent and, objectively speaking, highly respected.

Keywords: ao-Klarjeti, Georgian churches and monasteries, Niko Marr.

შესავალი

ქართულ-თურქული ურთიერთობები მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. ბუნებრივია, რომ ორი ქვეყნის მრავალჯერ გადაკვეთილმა გზებმა საერთო კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიის, ეთნოგრაფიული ყოფისა და ტრადიციების პარალელები წარმოქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ჟამთა სიავეს სამხრეთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობიდან ცოტა რამ გადაურჩა, ის, რაც შემოინახა, ძალზე ღირებულია მრავალი თვალსაზრისით. სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ მესხეთში, არსებული ძეგლების არქიტექტურულ-კულტურული ვითარება, ასევე, იქაურ ქართველთა ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ისტორიული მესხიერებისა თუ დღევანდლობის კვლევა უკვე საკმაოდ ხანია აქტუალურია და ამ მიმართულებით არერთი საგულისხმო ნაშრომიცაა გამოქვეყნებული. როგორც ქართველი, ასევე თურქი მკვლევრებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ამ ორმხრივ ისტორიულ მემკვიდრეობად ქცეული საგანძურის შესწავლა, დაცვა და წარმოჩენა.

ტაო-კლარჯეთი ძველი საქართველოს მნიშვნელოვანი ცენტრია. არანაკლებ მნიშვნელოვანია სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებიც: შავშეთი, კოლა, არტანუი, ბასიანი, ართვინი, თორთომი, ერუშეთი... სწორედ ამ მხარეში ჩაეყარა საფუძველი ქართული კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძარღვს, რომელიც ზოგადად გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების საქმიანობასთან ასოცირდება.

კვლევის მეთოდები

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ: ისტორიულ-შედარებითი, აღწერითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდები.

მსჯელობა

შავშეთ-კლარჯეთში თითქმის ერთდროულად გამოჩნდა ორი დიდი პიროვნება, აშოტ ბაგრატიონი და გრიგოლ ხანძთელი, ასევე, მეფე-ერისმთავართა საგვარეულოს წარმომადგენელი, რომელთაც ჩაუყარეს საფუძველი „ქართველთა ახალ სამეფოს“, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული ეროვნული ცნობიერების გამოკვეთასა და ეროვნული თვითმყოფადობის იდეის რეალიზებაში, ქართული ფეოდალური სახელმწიფოებიდან ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

ცნობილია, რომ აშოტ I კურაპალატმა დიდი კულტურული აღმშენებლობა სწორედ ტაო-კლარჯეთიდან დაიწყო. მან თავიდან ოპიზა აღადგინა, მთავარი ტაძარი და სხვა ნაგებობანი, არტანუჯში განაახლა პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია და სწორედ აქ არის დაკრძალული.

აშოტ I-ის დროს განახლდა ანჩის კათედრალი. გიორგი მერჩულეს ცნობით, კლარჯეთის დიდებულ უდაბნოთა (სავანეთა) ანჩის კათედრალში ეპისკოპოსებიც ეკურთხებოდნენ (ინგოროყვა 1954: 302). აშოტ კურაპალატის თანამოაზრე და ქართული სახელმწიფოებრიობის სულიერების ქვაკუთხედი გახლდათ უდიდესი მოღვაწე და სულიერი მამა გრიგოლ ხანძთელი.

მიუხედავად რთული ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა, გრიგოლმა სწორედ ეს მხარე აირჩია. წმიდა გრიგოლი და მისი ძმები უფლის მადლით გასხივოსნებულები აგებდნენ, წალკოტად აქცევდნენ ამ უკანასკნელს.

ტაო-კლარჯეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს აღწერა განსაკუთრებით დაცულია გიორგი მერჩულის თხზულებაში. „კეთილ არის უდაბნო იგი მზისა მცხუნვარებითა და ჰაერის შეზავებითა ყოვლით კერძო და აქვს მას წყარო მდიდრულად გამომდინარე, მშვენიერი, გრძელი და ჰამოი და მალნართა სიმრავლეი ურიცხვი და მცირედი რაიმე ნუგეშის საცემელი ძალისებრ უდაბნოსა, ხოლო სათესი ყანაი და სათიბელი ქუეყანაი რაითურთ არ არს, არცა იქმნების ღირღლოვანთ, მათ ფიცხელთა მწვერვალთ მათ ღადოთაისა“ (მერჩულე 1978: 143).

ტაძარი აიგო კლდის ადგილზე, რომელიც დიდი ხნის მანძილზე შრომითა და ჯაფით დაავაკეს და მოამზადეს ადგილი ტაძრის ასაგებად.

ვახუშტი ბაგრატიონი არის პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც შექმნა ქვეყნის უზუსტესი აღწერილობა, მისი ფუნდამენტური ნაშრომია „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, საქართველოს ატლასები, გეოგრაფიის ქართული თარგმანები და სხვ. (ხანძთა 1985: 62).

ვახუშტიმ შესანიშნავი ფერებით დაგვიხატა ტაო-კლარჯეთის ლანდშაფტი. მისი ადგილმდებარეობის დახასიათება ემთხვევა გიორგი მერჩულის მიერ აღწერილ ტაო-კლარჯეთის სურათს.

ტაო-კლარჯეთის ბუნება შემდგომში არაერთხელ გამხდარა მოგზაურთა და მკვლევართა ინტერესის საგანი.

XIX საუკუნეში ამ რეგიონის ბუნების რამდენიმე შტრიხს შეეხნენ გერმანელი მეცნიერი გეორგ როზენი (1820-1871) და გერმანელი მოგზაური, მეცნიერი კარლ კოხი (1809-1879).

XIX საუკუნის ტაო-კლარჯეთის შესახებ კვლევებს აქვეყნებენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: გიორგი ყაზბეგი, ივანე კერესელიძე, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, სერგეი მესხი, ივანე გვარამიძე, დავით წერეთელი, ალექსანდრე დიდებულიძე (ფრონელი) და სხვ. წარსულში გამოთქმული მოსაზრებების თითქმის იდენტურია თანამედროვეთა შეხედულებებიც.

ქართული კულტურის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა ნიკო მარმა.

ნიკო მარი იყო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ცნობილი მეცნიერი (ლინგვისტი, დიალექტოლოგი, წყაროთმცოდნე, ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი, არქეოლოგი, ფილოსოფოსი) და ქართული კულტურის ქომაგი.

ქართველი მკვლევრები არ იყვნენ ერთსულოვანნი ნიკო მარის მემკვიდრეობის შეფასებისას. ისინი ხშირად შეცდომებს ხედავდნენ და ვერ ამჩნევდნენ მის ღვაწლს ქართული კულტურის, ჰუმანიტარული მეცნიერების არაერთი დარგის დაფუძნებასა და განვითარებაში.

ნიკო მარს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის X საუკუნის უმნიშვნელოვანესი ჰაგიოგრაფიული თხზულების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დასახელებული ძეგლების გამოვლენაში. მეცნიერმა XX საუკუნის დასაწყისში, 1904 წლის ზაფხულში, შავშეთსა და კლარჯეთში იმოგზაურა, რათა საფუძვლიანად შეესწავლა გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების სამოღვაწეო ასპარეზი, დაედგინა და აღეწერა იქაური ეკლესია-მონასტრების, ქართული სავანეების ადგილმდებარეობა, რაც მთავარია, მიეკვლია ხანძთისა და შატბერდის მონასტრებისათვის.

აღსანიშნავია, რომ 1890 წელს გამოქვეყნდა ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომი „სამი ისტორიული ქრონიკა“. ავტორმა შატბერდისა და ხანძთის ადგილები ევფრატის ხეობაში ივარაუდა. თუმცა ეს თვალსაზრისი იმთავითვე იქნა უარყოფილი თ. ჟორდანიას მიერ (ჟორდანიას 1892: 97-99; ჟორდანიას 1897: 53).

ნიკო მარის ვარაუდით, შატბერდი უნდა იყოს უსახელო სავანე სოფელ ფორთის მიდამოებში, კერძოდ, სამხრეთ ზონაში, ქვემო ფორთასთან, ფორთის ბაღებთან, ხოლო ხანძთა უნდა იყოს ძველი, რომელიც მდებარეობს სოფელ ფორთას ჩრდილოეთ ზონაში და ამჟამად „ნუკას საყდარი“ ჰქვიაო.

ეს მოსაზრება მყარი იყო მანამდე, ვიდრე პავლე ინგოროყვამ 1954 წელს არ გამოაქვეყნა გამოკვლევა „გიორგი მერჩულე“. ამ დრომდე ნიკო მარის მოსაზრებაში ეჭვი არავის შეუტანია.

პ. ინგოროყვამ გააკრიტიკა ნიკო მარი, უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც ერთი მისი არგუმენტი. მეცნიერმა არ გაიზიარა არა მხოლოდ ნიკო მარის ცალკეული არგუმენტები, არამედ ანტიმეცნიერული ტენდენციებიც, რაც მცდარად შეიძლება ჩაითვალოს.

ვ. ჯობაძემ საფუძვლიანად (არქეოლოგიური დამწერლობით, ნახაზებით, აზომვებით, ფოტოებით) შეისწავლა სამხრეთ-საქართველოს ეკლესია-მონასტრები. მკვლევარი პ. ინგოროყვას საპასუხოდ აცხადებს: „აქ, ამ ახალ ხანძთაში, ძველი ხანძთის კვალი არ იძებნება, ის ნაგებობა, პ. ინგოროყვას ძველი (გაბრიელის საპასუხოდ აგებული) ხანძთა რომ ეგონა, პაწაწინა სამლოცველოა (ჯობაძე 2007: 41). ვ. ჯობაძემ ვერ დაადგინა

ძველი ხანძთის კვალი. მისივე თქმით, იდუმალ ტაძარში, რომელიც ნუკას საყდრად იქცა, შესვლა ვერ მოახერხა. შიგ რომ შესულიყო, თავად შეამჩნევდა სენაკებსა და საოსტიგნეს ქვითკირის ნაშთებს. ეს არგუმენტი ვ. ჯობაძის საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

ვ. ჯობაძე აცხადებს: „განსაკუთრებით საინტერესოა ახალი ხანძთის მონასტერი სოფელ ქვემო ფორთის ბაღებთან მდებარე უსახელო სავანის სახით, ნუკას საყდარი, მისთვის „იდუმალი ეკლესია“, ხოლო ჩვენთვის გიორგი მერჩულეს ტექსტის „ძველი ხანძთა“ გრიგოლ ხანძთელის აგებულ გაბრიელ დაფანჯლის საფარით“ (ჯაგოდნიშვილი 2014: 109).

უნდა ითქვას, რომ ვ. ჯობაძე მერჩულეს ტექსტის საფუძველიანად მცოდნე მკვლევარია, ტექსტის საფუძველზე მისი ფრაგმენტების ანალიზი ამომწურავია. მან უარყო პ. ინგოროყვას მოსაზრება, თითქოს ახალი ხანძთა ძველი ხანძთის ტერიტორიაზეა აშენებული.

ამის შემდეგ ექსპედიციები და მკვლევრებიც ადასტურებენ, რომ X საუკუნის ხანძთა VIII საუკუნის ძველი ხანძთიდან 4-5 კილომეტრის დაშორებითაა და უფრო ქვემოთ იყო აგებული. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ დაუმთავრებელ სავანეში დაიკრძალა ერისთავთ-ერისთავი და კურაპალატი აშოტ კუხი.

მ. ფაღვა არის მკვლევართა იმ მცირე ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც უარყოფს პ. ინგოროყვას მოსაზრებას. მისი დასკვნით: „ყველა მონაცემებით ნათა აწინდელი ნუკას საყდარია და არა ფორთა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს“ (ფაღვა 2001: 64).

ამ მიმართულებით, ძალზე საგულისხმოა ბოლოდროინდელი კვლევები, რომლებზე დაყრდნობითაც ახალი მოსაზრებები გამოითქვა არაერთი ქართული კულტურული ძეგლის შესახებ.

საგანგებოდ უნდა გამოიყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2014 წლის ივნისის ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თ. ჯაგოდნიშვილი. ექსპედიციის შედეგად, ფაქტებით დადასტურდა ძველ ხანძთაში პატარა სენაკებისა და ქვითკირის საოსტიგნეების არსებობა.

ძველი ხანძთა, როგორც 2014 წლის ექსპედიციის მონაწილეები ამტკიცებენ, ფორთის ბაღებთან კი არ ააგეს გრიგოლმა და გაბრიელმა, არამედ – ზემო ფორთის სიახლოვეს, 4 კილომეტრის დაშორებით ქვემო ფორთიდან.

როგორც ცნობილია, ხანძთაში პირველად ძელის, ანუ ხის, ეკლესია, აშენდა ბერი ხუედდოსის ლოცვა-კურთხევით და გაბრიელ დაფანჯლის შემწეობით კი აიგო ქვითკირის ეკლესია. აქ აღესრულა და დაიკრძალა მშენებლობის სულისჩამდგმელი გრიგოლ ხანძთელი. ახალი ხანძთა დაუწყია აშოტ ერისთავთ-ერისთავს (კუხს) X საუკუნეში (არაუგვიანეს 918 წლისა), მის ძმისწულს, გურგენს კი დაუმთავრებია 941 წელს. ეკლესიის მშენებლობას დიდი დრო დასჭირვებია. ამ უკანასკნელს, როგორც უტყუარ ფაქტს, ადასტურებს ვ. ჯობაძე. მან ახალი ხანძთის ტერიტორიაზე ძველი ხანძთის კვალიც კი ვერ აღმოაჩინა. სწორედ აქ ეწინააღმდეგება პ. ინგოროყვას მოსაზრებას მკვლევარი, რომელმაც ნიკო მარის მიერ გადაღებული ფოტოს საფუძველზე გამოიტანა ასეთი დასკვნა.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ახალი ხანძთის წინამორბედი ხანძთა გადაგვარდა განსაკუთრებით მონღოლთა შემოსევების ჟამს, მისი თავდაპირველი სახელიც კი დავიწყებული იყო.

X საუკუნის I ნახევრის შემდეგ, არაუგვიანეს 941 წლისა, კლარჯეთში რეალურად ორი ხანძთა არსებობდა – ძველი და ახალი.

ზემოთ განხილულ ნაშრომებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნუკას საყდარი არის გრიგოლ ხანძთელის მიერ (გაბრიელ დაფანჩულის საფარით) აგებული ძველი ხანძთის მონასტერი, ხოლო ქვემო ფორთასთან არსებული უახლესი სავანე – ახალი ხანძთაა, როგორც ვარაუდობდა ნიკო მარი და რაც თანამედროვე კვლევებმაც დაადასტურა. ექსპედიცია, რომელსაც ნიკო მარი ხელმძღვანელობდა, ნუკას საყდარზე ავიდა. იგი თავის დღიურში წერს: „ჩემი პირველი შთაბეჭდილება იყო, რომ ვიყავი ხანძთაში“ (ინგოროყვა 1954: 14. 311).

საგულისხმოა, რომ ნიკო მარმა, ასევე, დიდი დრო დაუთმო შატბერდის ძიებას. ბოლო ხანებში ქართულ მეცნიერებაში გამოითქვა აზრი, რომ შატბერდი მდებარეობს ჭედილას ახლო ხევში და დღესაც შატბერდი ჰქვია. აღსანიშნავია, რომ ნიკო მარმა ეს ცნობა პირველმა მოიპოვა, გადაამოწმა ჭედილაშიც, მაგრამ ვერ დაადასტურა (ხუციშვილი 2024: 250). მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა, თუმცა ამ საკითხზე მომუშავე მეცნიერთა მოსაზრებები ჯერ კიდევ განსხვავებულია.

დასკვნა

ნიკო მარმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შავშეთსა და კლარჯეთში მდებარე მატერიალური კულტურის ძეგლებს. ნ. მარის დღიურების შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის მონაკვეთი შესანიშნავი დოკუმენტია, დღესაც რომ არ დაუკარგავს ღირებულება. დღიურებში აღწერილი შავშეთისა და კლარჯეთის აღმოსავლეთ ნაწილის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, სოფლები, მოსახლეობა, მათი მეტყველება, რომელსაც მკვლევარი იმერხეულ კილოს უწოდებს, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში იყო ერთადერთი სანდო წყარო შავშეთელთა და კლარჯთა მეტყველებისა და ყოფის შესასწავლად. ეს ყოველივე მკაფიოდ აჩვენებს, რომ ნიკო მარმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში. გარდა ამისა, კარგად წარმოაჩენს მეცნიერის ფართო ფილოლოგიურ და ქართველოლოგიურ პროფილს. მიუხედავად იმისა, რომ ნიკო მარის მიერ გამოთქმული არაერთი მოსაზრება საკამათოა და არ არის გაზიარებული, მისი არქივი მრავალ საგულისხმო ნაშრომს შეიცავს და ავტორის გამორჩეულ წვლილს ადასტურებს.

გამოყენებული ლიტერატურა

ვახუშტი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი. წიგნში: „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილია ძირითადი ხელმოწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973.

ინგოროყვა 1954: ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954.

მამაცაშვილი 1981: კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლინდა მამაცაშვილმა. თბილისი, 1981.

მერჩულე 1978: გიორგი მერჩულე, შრომა და მოღვაწეობა ღირსად ცხოვრება წმიდისა ნეტარმა მამისა ჩვენისა გრიგოლისი. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა. თბილისი, 1978.

ჟორდანია 1892: ჟორდანია თ., ქრონიკები, I. თბილისი, 1892.

ჟორდანია 1897: ჟორდანია თ., ქრონიკები, II. თბილისი, 1897.

ფაღავა 2007: ფაღავა მ., ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციისათვის. ჟურნალი „მნათობი“, 1, 2007.

ხანთაძე 1985: ხანთაძე შ. ქართული ისტორიოგრაფია XVIII საუკუნეში. თბილისი, 1985.

ჯაგოდნიშვილი 2014: ჯაგოდნიშვილი თ., ხანძთა - ძველი, ახალი... თბილისი, 2014.

ჯაგოდნიშვილი 2024: ჯაგოდნიშვილი თ., აკადემიკოსი ნიკო მარი – 160. სტუქარტველი ფილოლოგიისა და მედია ტექნოლოგიების დეპარტამენტის შრომები (ფილოლოგია), №1, 2024.

ჯობაძე 2007: ჯობაძე ვ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, 1992. ქართული თარგმანი დიმიტრი თუმანიშვილისა და დავით ხოშტარასი. თბილისი, 2007.

References

Ingorokva 1954: Ingorokva P., Giorgi Merchule. Tbilisi, 1954.

Jagodnishvili 2014: Jagodnishvili T., Khandzta - Old, New... Tbilisi, 2014.

Jagodnishvili 2024: Academician Niko Mari – 160. Georgian Technical University, 2024. Proceedings of the Department of Georgian Philology and Media Technologies (Philology), №1, 2024.

Jobadze 2007: Jobadze V. Early medieval Georgian monasteries in historical Tao, Klarjeti, and Shavshethi, 1992. Georgian translation by Dimitri Tumanishvili and David Khoshtarias. Tbilisi, 2007.

Khandzta 1985: Khantadze Sh., Georgian historiographer in the 18th century. Tbilisi, 1985.

Mamatsashvili 1981: Mamatsashvili L. In the accounts of K. Koch and O. Spencer about Georgia and the Caucasus. Translated from German, with introduction and comments by Linda Mamachashvili. Tbilisi, 1981.

Merchule 1978: Giorgi Merchule, Work and Activities Worthily of St. Father Grigol. Monuments of Ancient Georgian Literature, Library of World Literature. Tbilisi, 1978.

Paghava 2007: Paghava, M. For the localization of Khandzta and Shatberdi. Journal Mtanobi, 1. 2007.

Vakhushti 1973: Batonishvili Vakhushti. Description of the Kingdom of Georgia in the book: “The Life of Kartli.” The text is established according to the main signature by S. Kaukhchishvili. Tbilisi, 1973.

Zhordania 1892: Zhordania T., Chronicles, I. Tbilisi, 1892.

Zhordania 1897: Zhordania T., Chronicles, II. Tbilisi, 1897.